

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ იურიკ უნანიანს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს
ბატონ მიხეილ ბატიაშვილს

რეკომენდაცია

**სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ აზავრეთის საჯარო სკოლაში ზოგადი
განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემებთან დაკავშირებით**

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავრებით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ბატონო იურიკ,

ბატონო მიხეილ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად სწავლობს ქვეყანაში ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის საკითხებს.

2019 წლის 11 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები ვიზიტით იმყოფებოდნენ სოფელ აზავრეთის საჯარო სკოლაში. შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს უმწვავესი პრობლემები და სკოლის ინფრასტრუქტურული გარემო შეუთავსებელია სასწავლო პროცესთან, შენობა ავარიულია, ამის გამო შეჩერებულია სასწავლო პროცესი და ბავშვები განათლების სისტემის მიღმა რჩებიან.

I. ფაქტობრივი გარემოებები

სოფელ აზავრეთის საჯარო სკოლის შენობა 1957 წელს აშენდა და 1999 წლის შემდეგ რემონტი არ ჩატარებია; ამ ეტაპზე შენობა ამორტიზებულია; 2019 წლის 8 აპრილიდან სკოლის მუშაობა პარალიზებულია, არ ტარდება გაკვეთილები და სოფელ აზავრეთში მცხოვრებ ბავშვებს ეზღუდებათ განათლების ხელმისაწვდომობის უფლება.

მოწოდებული ინფორმაციით, სკოლაში ირიცხება 200 ბავშვი. შენობის ფართის სიმცირის გამო, საგაკვეთილო პროცესი სამ ცვლად ტარდება – იწყება დილის 09:00 საათზე და დაახლოებით საღამოს 19:00-მდე გრძელდება. უფროს კლასელებისთვის გაკვეთილების

ხანგრძლივობა 30–35 წუთია, უმცროს კლასელებისთვის კი 20–30 წუთი, რაც ეწინააღმდეგება როგორც ადგილობრივ კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო ნორმებს.

ავარიული შენობის გამო, სკოლაში ბავშვებისა და პერსონალის ფიზიკური უსაფრთხოება დაცული არ არის; რამდენიმე ადგილას ჩანგრეულია იატაკი და ჭერი; წვიმის დროს წყალი ჩამოდის; უმძიმეს მდგომარეობაშია სკოლის საპირფარეშო (რომელიც ფაქტობრივად არც ფუნქციონირებს); გარე პერიმეტრზე სრული ანტისანიტარია სუფევს (არ ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, რადგან სოფლამდე მისასვლელი და შიდა გზა სრულიად ამორტიზებულია და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნაგვის მანქანები ვერ ახერხებენ ნარჩენების გატანას).

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის დროს შენობაში ყოფნა საფრთხის შემცველია. მოსახლეობა ითხოვს სკოლის ახალი შენობის დროულ აშენებას. ამასთან, ითხოვენ უფრო დიდ ფართს ბავშვებისთვის სრულფასოვანი განათლების უზრუნველსაყოფად.

სახალხო დამცველის რწმუნებულები სოფელ აზავრეთში შეხვდნენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და მერიის წარმომადგენელს. მათი განმარტებით, 2019 წელს, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში 24 სკოლის რეაბილიტაცია იგეგმება, თუმცა გამოყოფილი თანხები საკმაოდ მწირია (15 000 – 20 000 ლარი თითოეულ სკოლაზე) და ძირითადად გათვლილია სველი წერტილების რეაბილიტაციაზე. აღნიშნულ 24 სკოლაში არ შედის აზავრეთის სკოლა, მაშინ, როდესაც, აღნიშნული სკოლის შენობაში სასწავლო პროცესთან შეუთავსებელი მდგომარეობაა, რაც ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან მყისიერ რეაგირებას მოითხოვს.

II. სამართლებრივი რეგულირება

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლება, უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემოთი სარგებლობის პრინციპთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება და ამდენად, მისი დაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების სფეროში შედის. აღნიშნული უფლების იმპლემენტაციისათვის საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება, ამავე მუხლის მეორე პუნქტიდან გამომდინარე, დაწყებითი და საბაზო განათლება არის სავალდებულო, ხოლო **სრულ ზოგადი განათლების დაფინანსება და ამ გზით განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულების საგანს წარმოადგენს.** შესაბამისად, აღნიშნული კონსტიტუციური რეგულაცია ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში მოუწოდებს სახელმწიფოს, არ მოახდინოს თვითნებური და არამართლზომიერი ჩარევა დაცული სფეროს ამ ნაწილში, ხოლო პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში – სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო

და სათანადო პირობების ხელმისაწვდომობას (გამართული ინფრასტრუქტურული გარემო, შესაბამისი სასწავლო ინვენტარი), სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტიან იმპლემენტაციას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთათვის კეთილსაიმედო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, ისევე როგორც, სკოლების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა საჭიროებებზე მორგებული ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა უკავშირდება როგორც განათლების ხელმისაწვდომობის პრინციპს, ისე - ყოველი ბავშვის უფლებას უსაფრთხო და უვნებელ წყალსა და სანიტარიაზე.

განათლების ხელმისაწვდომობის უფლება განმტკიცებულია ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში, როგორებიცაა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მ. 26), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (მ. 13), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (პირველი დამატებითი ოქმი, მ. 2). თუმცა, საერთაშორისო დოკუმენტებიდან პირველ რიგშია აღსანიშნავი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC).

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3, მე-4 და 29-ე მუხლების ანალიზიდან გამომდინარე, თითოეულმა ხელშემკვერელმა ქვეყანამ, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, უნდა უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრაქტიკაში იმპლემენტაცია, 28-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში.

ბავშვის უფლებების კომიტეტი (CRC) 2017 წლის 9 მარტის დოკუმენტით „დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მიმართ“ მოუწოდებს სახელმწიფოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობისა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ¹. ასევე, კომიტეტი ჯერ კიდევ 2008 წელს დასკვნითი შენიშვნების 57-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მოუწოდებდა სახელმწიფოს, გამოყოს დამატებითი ფინანსური რესურსები განათლების უფლების განხორციელების მიზნით. იმავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კი, კომიტეტმა საქართველოს მიმართა რეკომენდაციით, ყურადღება გაამახვილოს ქვეყანაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით რეგიონებში. იმავე

¹Committee on the Rights of the Child, „Concluding observations on the fourth periodic report of Georgia”, CRC/C/GEO/CO/4, 09.03.2017.

ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2fC%2fGEO%2fCO%2f4&Lang=en [ბოლოს ნანახია: 27.05.2018]

პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საქართველომ უნდა გააუმჯობესოს განათლების ხარისხი სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით².

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პარალელურად, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით ადგენს ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ზოგადი განათლების პრინციპს. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის გათვალისწინებით, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, მათთვის ხელმისაწვდომი რესურსის მაქსიმალური გამოყენებით, მიიღონ ზომები წყალზე უფლების პროგრესულად სრული რეალიზაციისთვის ყველა სათანადო საშუალებით, საკანონმდებლო ზომების მიღების ჩათვლით.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასათვის. შესაბამისად, სახელმწიფოს აქვს პირდაპირი ვალდებულება, გაატაროს და შეიმუშავოს ყველა საჭირო ადმინისტრაციული, ფინანსური თუ საკანონმდებლო ღონისძიება, რათა თითოეულ ბავშვს საქართველოში ხელი მიუწვდებოდეს განათლების ყველაზე ეფექტურ და ხარისხიან ფორმაზე დაწყებითი, საბაზო თუ ზოგადი განათლების საფეხურზე.

დასკვნა

ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები, ერთის მხრივ, განამტკიცებს ყველა ბავშვისთვის განათლების დაუბრკოლებლად მიღების უფლებას, ხოლო მეორე მხრივ, ავალდებულებს სახელმწიფოს, ხელი შეუწყოს აღნიშნული უფლების განხორციელებას დროული და ეფექტიანი ღონისძიებების გატარების გზით, რაც უმთავრესად უკავშირდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას, მისაწვდომობას წყალსა და სანიტარიაზე და გამართული ინფრასტრუქტურული გარემოს უზრუნველყოფას თითოეული ბავშვისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით:

²Committee on the Rights of the Child, „Concluding observations on the fourth periodic report of Georgia”, CRC/C/GEO/CO/3, 23.06.2008. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2fC%2fGEO%2fCO%2f3&Lang=en [ბოლოს ნანახია: 27.05.2018]

1. გონივრულ ვადებში მოხდეს სოფელ აზავრეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის, დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება და ამ კუთხით საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსის გამოყოფა;
2. სკოლის ადმინისტრაციასთან და მუნიციპალურ ორგანოებთან კოორდინირებული თანამშრომლობის გზით, დაიგეგმოს კონკრეტული და ალტერნატიული ღონისძიებები სკოლის ახალი შენობის აშენებამდე, სოფელ აზავრეთში მცხოვრები ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და ამ უფლების უწყვეტობის მისაღწევად.

გთხოვთ, თქვენს მიერ დაგეგმილ და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მაცნობოთ წერილობით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში (20 დღე).

დანართის სახით გეგზავნებათ სსიპ სოფელ აზავრეთის საჯარო სკოლის შენობის ფოტომასალა.

დანართი: 4 (ოთხი) გვერდი.

პატივისცემით,